საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2013 წლის 11 მარტი № 57

2013 წლის 27 აპრილს დანიშნულ საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის გაშვების მიზნით, წინასაარჩევნო რეკლამის დროის განსაზღვრისა და ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. 2013 წლის 27 აპრილს დანიშნულ საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში უფასო სარეკლამო დრო კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის განისაზღვროს შემდეგნაირად, კერძოდ, უფასო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი და მეორე სატელევიზიო, ასევე, პირველი და მეორე რადიო არხებზე განისაზღვროს საათში 60 წმ-ის ოდენობით თითოეული სუბიექტისთვის.
2. 2013 წლის 27 აპრილს დანიშნულ საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2013 წლის 12 მარტიდან და მოქმედებს 2013 წლის 27 აპრილამდე.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორის
მოვალეობის დროებით შემსრულებელი გიორგი ბაქრაძე

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2013 წლის 12 მარტიდან დან 2013 წლის 27 აპრილამდე.
საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 20 წუთს, ხოლო მეორე არხზე 17 წუთს.
ფასი ითვალისწინებს დღგ-ს.

საეთერო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-10:55	ორშაბათი - კვირა	1575	1575
11:55-15:55	ორშაბათი - კვირა	2070	2070
16:55-17:55	ორშაბათი -კვირა	2520	2520
18:55-23:55	ორშაბათი - კვირა	3150	3150
00:55-01:55	ორშაბათი - კვირა	2925	2925

2 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია (*1 წთ. ფასი ლარებში*)	
		გადაცემამდე	გადაცემაში
06:27-11:55	ორშაბათი - კვირა	900	900
12:55-15:55	ორშაბათი - კვირა	990	990
16:55-17:55	ორშაბათი -კვირა	1260	1260
18:55-23:55	ორშაბათი - კვირა	1440	1440

„11“ მარტი 2013წ.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“

(მაუწყებლის დასახელება)

გენერალური დირექტორის დროებით მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი ბაქრაძე _____

(თანამდებობა, სახელი, გვარი, ხელმოწერა)

204858163